უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულება

ქ. თბილისი 1 ნოემბერი 2016წ

ერთის მხრივ, შპს ,, შპს დიღომი + " ს/კ 430034232 (შემდგომში – მყიდველი)
და
მეორეს მხრივ, ვახტანგ ლაბაძე პ/ნ 01011026837 (მოხსენებული როგორც გამყიდველი)

ნების თავისუფალი გამოვლენის საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ნასყიდობის ხელშეკრულების საგანს შეადგენს გამყიდველის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები, მდებარე შემდეგ მისამართზე ქ.თბილისი, სოფელი დიღმის ტერიტორია (შემდგომში ფართი);

1.2. მიწის ნაკვეთის რეკვიზიტებია:
საერთო ფართი 500.00 კვ.მ; შენობა №1.
ს/კ 01.72.14.040.306

2. ხელშეკრულების ფასი და ანგარისწორების წესი

2.1. მყიდველი იღებს ვალდებულებას ხელშეკრულების ხელმოწერიდან 18 თვის ვადაში ნასყიდობის საგანზე ააშენოს საცხოვრებელი კორპუსი, საიდანაც ვახტანგ ლაბაძეს გადასცემს 425 კვ.მ ფართს თეთრ კარკასულ მდგომარეობაში. აქედან კერძოდ 1-ლი სართული კომერციული ფართი 115 კვ.მ და 310 კვ.მ საცხოვრებელი ფართი.(310 კვ.მ-დან კერძოდ სართული 3-მე- 60,53,2. სართული 4-ე-125,53,2 სართული -5-ე- 60,53,2 სართული- 65,53,2 -ნე. სართული --------7-ე სართული --------8)

2.2 მხარეთა განცხადებით ფართის საბაზრო ღირებულებაა ----------

2.3 ნასყიდობის საგნის ღირებულების გადახდა მოხდება მყიდველის მიერ ასაშენებელ მრავალბინიან საცხოვრებელ კორპუსში 425,კვ.მ საცხოვრებელი და კომერციული ფართების გამყიდველისთვის გადაცემით, რაც მითითებულია 2 მუხლის 1- პუნქტში.

2.4 გამყიდველს საცხოვრებელი კორპუსში ფართები ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მდგომარეობაში უნდა გადაეცეს არაუგვიანეს მშენებლობის ნებართვით განსაზღვრული სამშენებლო სამუშაოების დასრულების ვადისა.

2.5გამყიდველს მითითებული ფართები უნდა გადაეცეს შემდეგ მდგომარეობაში: ბინის კონტურის კედლები,ბინის შიდა ტიხრები ამოყვანილი,მეტალოპლასმასის კარ-ფანჯარა გარეპერიმეტრზე- ჩასმული; შესასვლელი რკინის კარები-ჩასმული; სანტექნიკური დგარები ბინაში შეყვანილი; ელ.გაყვანილობის დგარები ბინაში შეყვანილი; მოწესრიგებული სადარბაზო, ფასადი, სახურავი და ლიფტი.

2.6 მხარეთა შეთანხმებით--2,1პუნქტით: წინამდებარე მუხლით განსაზღვრული ვალდებულებები აისახოს ამონაწერის შესაბამის ვალდებულების გრაფაში.
2,7.მე-2 მუხლის მე6-ე პუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვა არ მოქმედებს ნასყიდობის საგანზე ასაშენებელ კორპუსში არსებული ბინების მიმართ და მყიდველს უფლება აქვს გამყიდველის თანხმობის გარეშე დამოუკიდებლად განკარგოს ან უფლებრივად დატვირთოს ასაშენებელ (აშენებულ) კორპუსში არსებული ბინები და სხვა ფართები.

3.მხარეთა უფლებები

3.1.გამყიდველი უფლებამოსილია:

მიდველს მოსთხოვოს ამ ხელშეკრულებით დადგენილი ვალდებულებების კეთილსინდისიერად და ჯეროვნად შესრულება;
მოითხოვოს ინფორმაცია სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობის და ხარისხის შესახებ;
მყიდველის მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში,მოითხოვოს ხელშეკრულების შეწყვეტა ან პირგასამტეხლოს გადახდა.

3.2.მყიდველი უფლებამოსილია:

სამშენებლო სამუშაოები აწარმოოს დამოუკიდებლად მის მიერ შერჩეული ტექნიკური და მექანიკური საშუალებებით,დაქირავებული პერსონალით,სამშენებლო მასალებით და ფინანსური საშუალებებით.
გამყიდველს მოსთხოვოს ამ ხელშეკრულებით დადგენილი ვალდებულებების კეთილსინდისიერად და ჯეროვნად შესრულება.
გამყიდველის მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში,მოითხოვოს ხელშეკრულების შეწყვეტა ან პირგასამტეხლოს გადახდა.

ს ეროვნების სა
ერის ეროვნული
ცნაცია №491
....ხელმოწერა..

4. მხარეთა მოვალეობები

4.1. მხარეთა უფლებები განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.
4.2. *გამყიდველი ვალდებულია:*
4.3. გადასცეს მყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო ფართი, რაც ნიშნავს, რომ:
ა) ნასყიდობის საგანი არ არის სადავო, არ ადევს ყადაღა, არ არის დატვირთული რაიმე ვალდებულებით, არა აქვს ნაკლი და არავის მის მიმართ პრეტენზია არა აქვს.
4.4. გადასცეს მყიდველს ნასყიდობის საგანთან დაკავშირებული ყველა საბუთი.
4.5 თუ ნასყიდობის საგანს აღმოაჩნდება ნაკლი, რომელიც მისთვის არ იყო ცნობილი, გამოასწოროს ის.
4.6 ნასყიდობის საგნის მყიდველისათვის გადაცემამდე, უზრუნველყოს შეთანხმებული პირობებით მისი შენარჩუნება.

4.7 მისცეს მყიდველს ყველა საჭირო თანხმობა, რაც დაკავშირებული იქნება ნასყიდობის საგანზე შესაბამისი სამშენებლო/სადემონტაჟო ნებართვების მიღებასთან დაკავშირებით.

4.8. *მყიდველი ვალდებულია:*
4.9 მიიღოს გამყიდველისგან ნასყიდობის საგანი და მასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი.
ნებართვით--დადგენილ ვადაში დაასრულოს კორპუსის ძირითადი სამშენებლო სამუშაოები;
საცხოვრებელი სახლი ააშენოს ხარისხიანი და გამძლე მასალებით,კვალიფიციური მუშახელის და ტექნიკის გამოყენებით,ასევე გადაიხადოს საჭირო ყველა ხარჯი მშენებლობის დაწყებიდან დასრულებამდე.იგი ასევე ვალდებულია მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვითაწარმოოს მშენებლობა და განახორციელოს სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობა; ამ ხელშეკრულების მე-2 მუხლის 1-პუნქტით დადგენილი ფართი გამყიდველს საკუთრებაში გადასცეს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო მდგომარეობაში.
მშენებლობის დაწყების შემდეგ,სამშენებლო დოკუმენტაციის საფუძველზე წინასწარი ჩანაწერების განგორციელების გზით საცხოვრებელი სახლი საჯარო რეესტრში რეგისტრაციაში გაატაროს როგორც მშენებარე.
4.10 ჯეროვნად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ყველა მისი ვალდებულება.

5. მხარეთა პასუხიმგებლობა

5.1მხარეები პასუხს აგებენ მათ მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისასთვის კანონმდებლობით დადგენილი წესით.
5.2 მხარეებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში ეკისრებათ პასუხისმგებლობა შემდეგი წესით:თუ მყიდველი არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, იგი მოვალეა გამყიდველს გადაუხადოს მიწის ნაკვეთის ღირებულების 0,1% პირგასამტეხლოს სახით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
5.3 თუ გამყიდველი არ შეასრულებს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს,იგი ვალდებულია აუნაზღაუროს მის მიერ მიყენებული ზიანი.

6. ხელშეკრულების მოქმედების ვადა მისი შეწყვეტის წესი და პირობები

6.1.ხელშეკრულება ძალაში შედის ორივე მხარის მიერ ხელისმოწერის და საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაციის მომენტიდან.
6.2 ხელშეკრულება მოქმედებს ორივე მხარის მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად და სრულად შესრულებამდე.
6.3ხელშეკრულება შესაძლებელია შეწყდეს ვადამდე:
ა) მხარეთა წერილობითი შეთანხმებით
ბ)გამყიდველის ინიციატივით,თუ მყიდველი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში არ შეასრულებს ვალდებულებას.

გ)მყიდველის ინიციატივით,თუ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ობიექტურად შეუძლებელია სამშენებლო სამუშაოების განხორციელება.
6.4 ამ მუხლით განსაზღვრული საფუძვლებით ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტისას უფლებამოსილმა პირმა 2(ორი) თვით ადრე წერილობით უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს.

7. დავა

მხარეთა შორის წარმოშობილი დავა წყდება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავას განიხილავს სასამართლო საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.განსაკუთრებული პირობები

8.1 საცხოვრებელი ფართების გამყიდველისათვის გადაცემის დროს უნდა შედგეს მიღება-ჩაბარების აქტი.იმ შემთხვევაში თუ მიღება -ჩაბარების აქტში ასახული ბინის მდგომარეობა შეესაბამება ამ ხელშეკრულებით დადგენილ პირობებს და ხარვეზებს ადგილი არ აქვს , გამყიდველი დაადასტურებს მიღება-ჩაბარების აქტს,რის შემდეგაც მყიდველის ვალდებულება გამყიდველის წინაშე ითვლება შესრულებულად და ეს ხელშეკრულება დასრულებულად.
8.2 ამ ხელშეკრულების საფუძველზე ხელშეკრულების შეწყვეტის და ნასყიდობის საგნის და მასზე განლაგებული მშენებარე შენობა ნაგებობის გამყიდველისათვის დაბრუნებისას,გამყიდველი ვალდებულია მყიდველს აუნაზღაუროს მშენებლობაზე ფაქტიურად დახარჯული თანხები,თანხის გადახდა მოხდება ხელშეკრულების შეწყვეტის და უძრავი ქონების გამყიდველის საკუთრებაში აღრიცხვიდან 6 თვის განმავლობაში თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმდებიან.

9. ცვლილებები და დამატებები

წინამდებარე ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების ან დამატების შეტანა ხდება მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებამდე.

11. დასკვნითი დებულებები

11.1. ნასყიდობასთან დაკავშირებული ის ურთიერთობები, რომლებიც არ რეგულირდება წინამდებარე ხელშეკრულებით, დარეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
11.2 ფორს -მაჟორული გარემოებებისას მხარეებს გადაუვადდებათ ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.
11.3. ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან.

მხარეთა ხელმოწერები

გამყიდველი

მყიდველი

58001005154

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
შტამპი №491
თარიღი "1" ნოემბერი 2016
გვ.რაოდენობა 5. ხელმოწერა
(ხელმოწერა)

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
21

მოთხოვნის დათმობის ხელშეკრულება

საქართველო, ქალაქი თბილისი

2017 წლის 10 აგვისტო

მუხლი 1. ხელშეკრულების მხარეები და გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1ერთის მხვრივ: ვახტანგ ლაბაძე
რეგისტრირებული მისამართი:
პირადი ნომერი : 01011026837
საკონტაქტო მობ: 598 54 23 93
E-mail:

შემდგომში ხელშეკრულებაში მოხსენიებული როგორც ,,მოთხოვნის დამთმობი",
მეორეს მხრივ: მურმან ბლუაშვილი
პირადი ნომერი : 54001006790
რეგისტრირებული მისამართი: თბილისი, გლდანი, მე-3 მ/რ, კორპ.
საკონტაქტო მობ: 598 54 23 93
E-mail:
შემდგომში ხელშეკრულებაში მოხსენიებული როგორც ,,მოთხოვნის მიმღები", ნების თავისუფალი გამოვლენის საფუძველზე შევთანხმდით და ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულება შემდეგზე.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

1.1 ,,მომთხოვნის დამთმობი" ,,მოთხოვნის მიმღებს" უთმობს მოთხოვნის უფლებას (425.00 კვ.მ ფართიდან 60 კვ.მ ფართზე , სართული მე-3, კიბის უჯრედიდან ექვსვენა წინა მხარე) რომელიც წარმოიშვა 2016 წლის 1 (პირველ) ნოემბერს ხელშეკრულებდან, (დარეგისტრირებული საჯარო რესესტრის ეროვნულ სააგენტოში ს/კ №01.72.14.040.306 -ზე და ასახული ამონაწერის ვალდებულების გრაფაში) მასსა და შპს ,, დიღომი + "-ს (ს/კ 430034232) შორის, რომელიც შემდგომ ხელშეკრულებაში მოხსენიებულია, როგორც მოვალე;

,,მოთხოვნის დამთმობი" ,,მოთხოვნის მიმღებს" უთმობს მოთხოვნის უფლებას იმ პირობით, რომ ,,მოთხოვნის მიმღები" ,,მოთხოვნის დამთმობს" გადასცემს ფულად თანხას 25800 აშშ დოლარს ექვივალენტს ლარში გადახდის დღეს არსებულიეროვნული ბანკის კურსით(ნაღდი ანგარიშსწორებით).

1.2 მოთხოვნის დამთმობის პირობები სრულადაა განსაზღვრული წინამდებარე ხელშეკრულებით. მოთხოვნის მოცულობა განსაზღვრულია ,,მოთხოვნის დამთმობისა" (კრედიტორს) და ,,მოვალეს" შორის არსებული ზემოთხსენებული ხელშეკრულებით, საიდანაც ,,მოთხოვნის დამთმობი" ,,მოთხოვნის მიმღებს" გადასცემს 60 კვ.მ ფართს, რომელიც ამ ხელშეკრულების 1.1 მუხლშია აღნიშნული .

1.3 ,,მოთხოვნის დამთმობის" (კრედიტორის) წინაშე ,,მოვალის" მიერ შესასრულებელი ვალდებულება წარმოადგენს ვალდებულებას ააშენოს საცხოვრებელი კორპუსი, საიდანაც გამყიდველს გადასცემს 425.00 კვ.მ ფართს თეთრ კარკასულ მდგომარეობაში,

ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების პირობით (425 კვ.მ- ფართიდან ,,მოთხოვნის დამთმობსა" და ,,მოვალეს" შორის არსებული ხელშეკრულებაში, რომელიც სჯარის რეესტრის ეროვნულ სააგენტოშია დარეგისტრირებული დეტალურადაა გაწერილი ფართების გადაცემის პირობები, სართულების მიხედვით)

მუხლი 3. მხარეთა უფლება-მოვალეობანი და პასუხისმგებლობა

3.1 მოთხოვნის დამთმობი ვალდებულია გადასცეს მოთხოვნის შემძენს მასთან არსებული ყველა საბუთი, რომლებიც ეხება მოთხოვნასა და უფლებებს, ყველა ინფორმაცია , რომელიც აუცილებელია ამ მოთხოვნისა და უფლებების გამოყენებისთვის.

3.2 მოთხოვნის მიმღები ვალდებულია მოთხოვნის დამთმოვს გადასცეს 10 000 აშშ დოლარი ექვივალენტს ლარში გადახდის დღეს არსებულიეროვნული ბანკის კურსით ხელშეკრულების გაფორმებისთანავე, ხოლო დარჩენილი თანხა 15 800 აშშ დოლარი ექვივალენტს ლარში გადახდის დღეს არსებულიეროვნული ბანკის კურსით გადაუხადოს მოთხოვნის დამთმობს 2018 წლის 30 მარტამდე, ეტაპობრივად.

3.3 თუკი ,,მოთხოვნის დამთმობი" არ გადაიხდის თანხას 2018 წლის 30 მარტამდე, გადახდას გადააცილებს 15 (თხუთმეტი) დღით, მაშინ მას ეძლევა წერილობითი გაფრთხილება წინამდებარე ხელშეკრულებაში დაფიქსირებულ მის მისამართზე ან/და ელექტრონულ მისამართზე წერილის გაგზავნის გზით და ეძლევა 10 დღის ვადა მოახდინოს დავალიანების დაფარვა გადაუხდელობის შემთხვევაში, ,,მოთხოვნის დამთმობი" უფლებამოსილია ცალმხრივად მოშალოს ხელშეკრულება ელ. მისამართზე ან/და რეგისტრირებულ მისამართზე შესაბამისი შეტყობინების გაგზავნის გზით. ასეთ შემთხვევაში ,,მოთხოვნის მიმღებს" გადახდილი თანხა დაუბრუნდება მხოლოდ საცხოვრებელი ბინის რეალიზაციის შემდეგ.

მუხლი 4. მხარეთ უფლებაუნარიანობის შეწყვეტის ან ქმედითუნარიანობის შეზღუდვის შედეგები

მხარეთა უფლებაუნარიანობის შეწყვეტის შემთხვევაში შესაბამისი მხარის უფლებამონაცვლე (მემკვიდრე) ხდება წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი ურთიერთობის მონაწილე.

მუხლი 5. დავების გადაწყვეტა

წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი დავა გადაწყდება მოლაპარაკების გზით, თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 დღის განმავლობაში მხარეები ვერ მიაღწევენ შეთანხმებას, დავა განსახილველად და გადასაწყვეტად გადაეცემა საერთო სასამართლოს.

მუხლი 6. ფორს-მაჟორი

მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებათა შეუსრულებლობისათვის დაუძლეველი ძალთა

ზეგავლენის გამო. წინამდებარე ხელშეკრულებისათვის დაუძლეველი ძალა ნიშნავს ისეთ გარემოებას, რომელიც წარმოიშობა მხარეთა ნების გარეშე, რომლის დადგომის და მოქმედების გაკონტროლება აღემატება მხარეთა შესაძლებლობებს და რომელიც შეუძლებელს ხდის რომელიმე მხარის მიერ თავისი ვალდებულებების შესრულებას. დაუძლეველი ძალა, მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება სტიქიური უბედურებებით, საომარი მოქმედებებით, სამოქალაქო არეულობით/ომით, ხელისუფლების ორგანოების (საქართველოს სამართლის იურიდიული პირების) მოქმედებებით/უმოქმედობით, რაც ხელს უშლის ვალდებულ მხარეს ვალდებულების შესრულებაში. ასეთი გარემოებების დადგომის შემთხვევაში, წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი ვალდებულებების შესრულების ვადა გადაიწევს აღნიშნული გარემოებების არსებობის პერიოდით. თუ ეს გარემოებები გრძელდება მხარეებისათვის მიუღებელი პერიოდით, ისინი უფლებამოსილნი არიან ურთიერთშეთანხმების საფუძველზე მოშალონ წინამდებარე ხელშეკრულება. მოშლის პირობებზე მხარეები დამატებით შეთანხმდებიან.

მუხლი 7 ზიანის ანაზღაურება

თითოეულ მხარეს ეკისრება მეორე მხარისათვის მიყენებული ზიანის/ზარალის ანაზღაურების ვალდებულება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი საერთო ნორმების საფუძველზე.

მუხლი 8. დასკვნითი დებულება

8.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის მომენტიდან და ძალაშია მხარეების მიერ ნაკისრ ვალდებულებათა სრულ შესრულებამდე.

8.2. მოცემული ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა ხელშეკრულება, ... ცვლილება და დამატება წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს, რომელიც შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ წერილობით.

8.3. ხელშეკრულების ცალკეული მუხლების გაუქმება არ იწვევს ამ ხაელშეკრულების სრულად გაუქმებას.

8.4. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ორ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, თითოეული გადაეცემა მხარეებს.

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
შტამპი №486
თარიღი 12 იანვარი 2018წ.
გვ.რაოდენობა 3 ხელმოწერა

B16148874

გადახდის ნომერი: **EN1279641**
განცხადების რეგისტრაციის ნომერი: **B16148874**
განცხადების რეგისტრაციის დრო: 28/10/2016 14:37:11
განცხადების ნომერი: 1279641
განცხადების მიღების დრო: 28/10/2016 14:36:11

განცხადების მიღების ბარათი

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ მიღებულ
იქნა განცხადება (განმცხადებელი: თეონა
კვიკვინია/58001005154/), რომლითაც მოთხოვნილია ახალი სუბიექტის რეგისტრაცია.

სამართლებრივი ფორმა: **შპს**
დასახელება: **დიღომი +**

თანდართული დოკუმენტაცია:

- წესდება
- მხარეთა პ/მ ასლები

მომსახურება: 1 დღის ვადაში 100 + 5*1 ლარი

მომსახურების ვადის ათვლა იწყება განცხადების რეგისტრაციის მომდევნო დღეს და მთავრდება ვადის ბოლო დღის გასვლასთან ერთად. თუ სარეგისტრაციო წარმოების დასრულების დღე ემთხვევა უქმე ან დასვენების დღეს, მაშინ სარეგისტრაციო წარმოება სრულდება მომდევნო სამუშაო დღეს.

თუ განცხადების რეგისტრაციისას მითითებული გაქვთ თქვენი მობილური ტელეფონის ნომერი, სარეგისტრაციო წარმოების დასრულების შესახებ ინფორმაციას თქვენ მიიღებთ უფასო **SMS**–ის საშუალებით.

სარეგისტრაციო სამსახურში მობრძანებამდე თქვენ შეგიძლიათ წინასწარ მიიღოთ ინფორმაცია, თუ რა ეტაპზეა თქვენი სარეგისტრაციო განცხადების განხილვა.

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ–გვერდზე **www. napr.gov.ge** ;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ–გვერდზე **www. napr.gov.ge** , ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: **2 405405** ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ–გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე **2 405405** ;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: **08 009 009 09**
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: **info@napr.gov.ge**

33

გადახდა შესრულდა

ოპერატორი	Nana Phruidze
POS ტერმინალის იდენტიფიკატორი	SERV2013
გადახდის კოდი	EN1279641
გადახდილი თანხა	105.00 ლარი
ტრანზაქციის # / ქვითრის #	101175157 / 630214553894

ქვითარი

თიბისი ბანკი
TBC BANK

Justice POS 25
Sanapiros st.2, Tbilisi
ტერმინალ ID: SERV2013
ჩეკი 0076
ყიდვა
თანხა 105.00 GEL
მომსახურების საკომისიო 0,50 GEL
MasterCard PIN C
5167 46** **** 7849
AID A0000000041010
LABEL Debit MasterCard
ბარათის მფლობელი: KVIKVINIA/TEONA
დადასტურებულია
პასუხის კოდი: 000
ავტორიზაციის კოდი: 764294
RRN: 630214553894
თარიღი 28.10.16 დრო 14.52.32
PIN VERIFIED
მადლობა
==========

1279641
გადახდის ნომერი: EN1279641

საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს

განმცხადებელი: **თეონა კვიკვინია**
პირადი ნომერი / საიდენტიფიკაციო კოდი: **58001005154**
საცხოვრებელი / იურიდიული მისამართი: **ხობი ს. პირველი მაისი ლ.გოთუას ქ. N 61**

განცხადება

მოვითხოვ, რომ მოახდინოთ ახალი სუბიექტის რეგისტრაცია

სამართლებრივი ფორმა: **შპს**
დასახელება: **დიღომი +**

გთხოვთ, "მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის 4^1 პუნქტის შესაბამისად,
ელ-ფოსტა: **kvikviniamzeona@gmail.com**
დაარეგისტრიროთ, როგორც სუბიექტის იურიდიული მისამართი, რომელზე/რომლებზეც გაგაზავნილი ელექტრონული შეტყობინება ჩაითვლება ოფიციალურად ჩაბარებულ შეტყობინებად

თანდართული დოკუმენტაცია:

- წესდება
- მხარეთა პ/მ ასლები

გთხოვთ უზრუნველყოთ საწარმოს ანგარიშის გახსნა შემდეგ ბანკ(ებ)ში:

- [x] TBC ბანკი
- [ ] ლიბერთი ბანკი
- [x] საქართველოს ბანკი
- [x] ვითიბი ბანკი ჯორჯია
- [ ] ბანკი ქართუ

განაცხადზე ხელმოწერით, გამოვხატავ თანხმობას, რომ ბანკმა ინფორმაცია საწარმოს ანგარიშის გახსნის შესახებ მიაწოდოს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს.

სუბიექტის საკონტაქტო ინფორმაცია

ელ-ფოსტა: **kvikviniamzeona@gmail.com**

მომსახურება : 1 დღის ვადაში 100 + 5*1 ლარი

განმცხადებელი პირი: ----------/ თეონა კვიკვინია /

განცხადების წარდგენის თარიღი: 28/10/2016 14:36:11

წესდება/პარტნიორთა შეთანხმება
(შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებისთვის)

თავი 1
ზოგადი დებულებები

1.1. ______ დიღომი+ (Dighomi+) წარმოადგენს „მეწარმეთა შესახებ“
(სუბიექტის სახელწოდება, სამართლებრივი ფორმა)
საქართველოს კანონის შესაბამისად შექმნილ იურიდიულ პირს.

1.2. სუბიექტი წარმოშობილად ითვლება მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან.

1.3. საწარმოს სახელწოდება/საფირმო სახელწოდება
დიღომი +

1.4. საწარმოს სამართლებრივი ფორმა შ.პ.ს

1.5. საწარმოს იურიდიული მისამართი მცხეთის,
ს. სასხნეთი მე-3 ქ. №2

1.6. საწარმოს ელექტრონული ფოსტის მისამართი Kvikviniamzeona@gmail.com

1.7. საწარმოს პასუხისმგებლობა კრედიტორების წინაშე შემოიფარგლება მთელი მისი ქონებით.

1.8. საზოგადოების საქმიანობის საგანი:

1. მშენებლობა
2. ______
3. ______

(თუ პირის საქმიანობა დაკავშირებულია სურსათის/ცხოველის საკვების, ცხოველის, მცენარის, ცხოველური და მცენარეული პროდუქტების, ვეტერინარული პრეპარატის, პესტიციდის, აგროქიმიკატის წარმოებასთან, პირველად წარმოებასთან, გადამუშავებასთან, დისტრიბუციასთან, რეალიზაციასთან, აგრეთვე ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში მომსახურებასთან (ბიზნესოპერატორი), სარეგისტრაციოდ წარდგენილ დოკუმენტაციაში ამის მითითება სავალდებულოა)

1.9. საზოგადოებას უფლება აქვს მოგების მიღების მიზნით განახორციელოს კანონით აუკრძალავი ნებისმიერი საქმიანობა, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს საქმიანობა სადამფუძნებლო დოკუმენტებით გათვალისწინებული. ის საქმიანობა, რომელიც კანონმდებლობით შესაძლებელია მხოლოდ სპეციალური ლიცენზიის/ნებართვის საფუძველზე, დასაშვებია მხოლოდ შესაბამისი ლიცენზიის/ნებართვის მიღების მომენტიდან.

მუხლი 2
საზოგადოების დამფუძნებლები

2.1. საზოგადოების დამფუძნებელი პარტნიორები არიან:

1. მარხაზი ჭომბერიძე, 18001008266, მოსკოვის გამზ. კ. 48 ბ.3 ქალაქი თბილისი

(სახელი, გვარი, პირადი ნომერი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი; იურიდიული პირის შემთხვევაში საფირმო სახელწოდება, სამართლებრივი ფორმა, იურიდიული მისამართი, რეგისტრაციის თარიღი, საიდენტიფიკაციო ნომერი და მონაცემები მისი წარმომადგენლების შესახებ)

2.2. პარტნიორთა წილები კაპიტალში განისაზღვრა შემდეგნაირად:

1. მარხაზი ჭომბერიძე 18001008266 – 100 %

სახელი, გვარი, პირადი ნომერი
საფირმო სახელწოდება, საიდენტიფიკაციო ნომერი

მუხლი 3
საზოგადოების მართვა

3.1. საზოგადოების უმაღლეს მმართველობით ორგანოს წარმოადგენს პარტნიორთა კრება;

3.2. პარტნიორთა საერთო კრება ტარდება წელიწადში ერთხელ მაინც. საწარმოს ყოველ პარტნიორს ან/და დირექტორს, შეუძლია ერთი კვირის ვადაში მოიწვიოს პარტნიორთა საერთო კრება ყველა პარტნიორისათვის დაზღვეული წერილის გაგზავნით ან კომუნიკაციის სხვა საშუალებით, რომელიც იძლევა ადრესატის მიერ ინფორმაციის მიღების დადასტურების საშუალებას. წერილი უნდა შეიცავდეს დღის წესრიგის პროექტს. მოწვევის მიღებიდან 3 დღის ვადაში პარტნიორებს შეუძლიათ დამატებათა შეტანა დღის წესრიგში.

3.3. კრება გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება ხმების უმრავლესობის მქონე პარტნიორი (პარტნიორები). თუ კრება არ არის გადაწყვეტილებაუნარიანი, მაშინ კრების მომწვევს შეუძლია იმავე წესითა და იმავე დღის წესრიგით ხელახლა მოიწვიოს კრება. მეორე კრება გადაწყვეტილებაუნარიანია მაშინაც კი, თუ მასზე არ გამოცხადდება ხმების უმრავლესობის მქონე პარტნიორი (პარტნიორები).

3.4. პარტნიორთა კრების მონაწილენი თავიანთი შემადგენლობიდან ხმების უბრალო უმრავლესობით ირჩევენ თავმჯდომარეს. პარტნიორთა კრების

გადაწყვეტილების მიღებისთანავე თავმჯდომარე ადგენს და ხელს აწერს კრების ოქმს.

3.5. თუ გადაწყვეტილება შეეხება საზოგადოებასა და ერთ-ერთ პარტნიორს შორის დავას, მაშინ ამ პარტნიორს ხმის უფლება არა აქვს.

3.6. პარტნიორთა კრება იღებს გადაწყვეტილებებს შემდეგ საკითხებზე:

ა) წარმოების სახეებისა და სამეურნეო საქმიანობის დაწყება და მათი შეწყვეტა;

ბ) საწარმოს სარეგისტრაციო განცხადების მონაცემებსა და წესდებაში ცვლილებების მიღება;

გ) ფილიალების შექმნა და ლიკვიდაცია;

დ) ინვესტიციების შესახებ, რომელთა ღირებულება ცალკე ან მთლიანად ერთ სამეურნეო წელიწადში აღემატება საზოგადოების აქტივების ღირებულების 50%-ს;

ე) ვალდებულებათა აღება, რომლებიც ცალკე ან მთლიანად აღემატება საზოგადოების აქტივების ღირებულების 50%-ს;

ვ) ვალდებულებათა უზრუნველყოფა, რომლებიც არ მიეკუთვნებიან ჩვეულებრივ საწარმოო საქმიანობას და რომელთა ღირებულება აღემატება საზოგადოების აქტივების ღირებულების 50%-ს;

ზ) პროკურის გაცემა და გაუქმება;

თ) წლიური შედეგების დამტკიცება;

ი) აუდიტორის არჩევა;

კ) საწარმოს რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია.

ლ) ხელმძღვანელ პირთათვის მოგებასა და საერთო შემოსავალში მონაწილეობისა და პენსიის მიცემის პრინციპების განსაზღვრა;

მ) იმ დამატებითი უფლებების გამოყენება, რომლებიც საზოგადოებას დაფუძნებიდან ან საზოგადოების მართვიდან გამომდინარე აქვს დირექტორის ან/და პარტნიორის მიმართ, ასევე საზოგადოების წარმომადგენლობა იმ პროცესებში, რომლებსაც იგი დირექტორების წინააღმდეგ წარმართავს;

ნ) შენატანების მოთხოვნა;

ო) დამატებითი შენატანების უკან დაბრუნება;

პ) დირექტორების დანიშვნა და გამოწვევა, მათთან ხელშეკრულებების დადება და შეწყვეტა, აგრეთვე მათი ანგარიშების დამტკიცება;

ჟ) სამეთვალყურეო საბჭოს შექმნის შესახებ გადაწყვეტილების მიღება;

რ) ახალი/დამატებითი შენატანების გზით საწარმოს კაპიტალის გაზრდის შესახებ გადაწყვეტილების მიღება.

3.7. ყველა გადაწყვეტილება, რომელთა მნიშვნელობა სცილდება საზოგადოების ჩვეულებრივ საქმიანობას, მოითხოვს ყველა პარტნიორის მონაწილეობით ჩატარებული კრების გადაწყვეტილებას.

3.8. კრების მოწვევა არ არის აუცილებელი, როცა ყველა პარტნიორი წერილობით დაეთანხმება განსახილველ საკითხს. წერილობითი თანხმობა კრების ოქმის ტოლფასია და ითვლება კრების გადაწყვეტილებად.

3.9. პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება მიიღება მონაწილეთა ხმების უმრავლესობით, თუ „მეწარმეთა შესახებ“ კანონით გათვალისწინებული არ არის გადაწყვეტილების ერთხმად მიღება და, თუ ამ გადაწყვეტილების შინაარსი არ ქმნის არათანაბარ მდგომარეობას რომელიმე პარტნიორისათვის ანდა არ ხელყოფს პარტნიორის არსებით ინტერესებს.
3.10. პარტნიორთა საერთო კრებაზე პარტნიორებს აქვთ მათი წილის პროპორციული ხმათა რაოდენობა.
3.11. პარტნიორთა კრების, გადაწყვეტილებათა გასაჩივრება შესაძლებელია შესაბამისი ოქმის შედგენიდან 2 თვის ვადაში,ხოლო თუ კრება (სხდომა) მოწვეულ იქნა ან ჩატარდა კანონის ან წესდების ნორმათა უხეში დარღვევით, ამ შემთხვევაში გასაჩივრება დასაშვებია ერთი წლის ვადაში.

მუხლი 4

საზოგადოების ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა

4.1. საზოგადოების ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლება აქვს დირექტორს.

საზოგადოების ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლება ენიჭება თეონა ხვიჩავა 58001005154 მოსკოვის გამზ. 48ბ. ბ. 3. ქ. თბილისი
(დირექტორის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი)

4.2. დირექტორი საზოგადოების საქმეებს უნდა გაუძღვეს კეთილსინდისიერად, ის უნდა მოქმედებდეს იმ რწმენით, რომ ეს მოქმედება ყველაზე ხელსაყრელია საზოგადოებისათვის. თუ ის ჯეროვნად არ შეასრულებს აღნიშნულ მოვალეობას, პასუხს აგებს კომპანიის წინაშე წარმოშობილი ზიანისთვის პირადად, მთელი თავისი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ.
4.3. დირექტორის ხელმძღვანელობის უფლება გულისხმობს უფლებამოსილების ფარგლებში საწარმოს სახელით გადაწყვეტილებების მიღების უფლებას.
4.4. დირექტორი უფლებამოსილია მინდობილობის გარეშე დამოუკიდებლად იმოქმედოს საზოგადოების სახელით და წარმოადგინოს საზოგადოება მესამე პირებთან
4.5. დირექტორის ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილება შესაძლებელია შეიზღუდოს მხოლოდ პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილებით.
4.6. ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების მქონე პირებს არა აქვთ უფლება, პარტნიორების თანხმობის გარეშე განახორციელონ იგივე საქმიანობა, რომელსაც ეწევა საზოგადოება, ან მონაწილეობა მიიღონ მსგავსი ტიპის სხვა

საზოგადოებაში როგორც პერსონალურად პასუხისმგებელმა პარტნიორმა ან დირექტორმა.

4.7. საწარმოს სარეგისტრაციო მონაცემების ცვლილების რეგისტრაციის უზრუნველყოფის ვალდებულება ეკისრება საწარმოს დირექტორს. ეს ვალდებულება არ ზღუდავს პარტნიორის (პარტნიორების) და სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ან სხვა დაინტერესებული პირების უფლებამოსილებას, უზრუნველყონ ცვლილების რეგისტრაცია.

მუხლი 5
პარტნიორის უფლებები და მოვალეობები

1. საზოგადოების პარტნიორს გააჩნია შემდეგი უფლებები:
   ა) მონაწილეობა მიიღოს საზოგადოების მართვაში;
   ბ) კონტროლი გაუწიოს საზოგადოების ხელმძღვანელობას;
   დ) საზოგადოების მოგებიდან მიიღოს კუთვნილი წილი საზოგადოების კაპიტალში საკუთარი წილის პროპორციულად.
   ე) შეუძლია პირადად გაეცნოს საზოგადოების საქმეებს და ამ მიზნით საზოგადოების წიგნები და ცანაწერები.
   ვ) მოსთხოვოს სხვა პარტნიორებს საზოგადოების მიმართ არსებულ ვალდებულებათა შესრულება და ამ შესრულების გამო საკუთარი სახელით წარადგინოს სარჩელი.
   ზ) შეუზღუდავად გაასხვისონ ან დატვირთონ (დააგირავონ) მათ საკუთრებაში არსებული წილი საზოგადოების კაპიტალში.

მუხლი 6
საზოგადოების ლიკვიდაცია/რეორგანიზაცია

6.1. საზოგადოების ლიკვიდაცია და რეორგანიზაცია შესაძლებელია პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილების საფუძველზე.

6.2. სუბიექტის ლიკვიდაცია და რეორგანიზაცია ხორციელდება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით დაგენილი წესით.

მუხლი 7
დასკვნითი დებულებები

7.1. წინამდებარე წესდება (პარტნიორთა შეთანხმება) ძალაში შედის ყველა პარტნიორის მიერ ხელმოწერის მომენტიდან.

7.2. თუ ამ წესდების (პარტნიორთა შეთანხმების) რომელიმე დებულება ბათილად იქნა ცნობილი, ეს გავლენას არ მოახდენს წესდების სხვა დებულებების ნამდვილობაზე.

7.3 ამ წესდებასა და საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას შორის არსებული შეუსაბამობის შემთხვევაში მოქმედებს კანონი.

(პარტნიორის სახელი, გვარი)
(პარტნიორი იურიდიული პირის საფირმო სახელწოდება, საიდენტიფიკაციო ნომერი)

(ხელმოწერა)

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
შტამპი №780
თარიღი "28" ოქტომბერი 2016წ.
გვ.რაოდენობა 6 ხელმოწერა

ეროვნული სააგენტო
201 წ.

შენიშვნები/REMARKS 03

თანამდებობის პირის ხელმოწერა
SIGNATURE OF ISSUING OFFICER

MINISTRY OF JUSTICE OF GEORGIA
011

მფლობელის ხელმოწერა
HOLDER'S SIGNATURE

საქართველო Georgia

პასპორტი PASSPORT



ტიპი / TYPE P სახელმწიფოს კოდი / CODE OF STATE GEO პასპორტი / PASSPORT 07AF58581

გვარი / SURNAME
კვიკვინია / KVIKVINIA

სახელი / GIVEN NAME
თეონა / TEONA

მოქალაქეობა / CITIZENSHIP
საქართველო / GEORGIA

დაბადების თარიღი / DATE OF BIRTH
27 დეკ / DEC 1983

პირადი ნომერი / PERSONAL NUMBER
58001005154

სქესი / SEX
მდედ / F

დაბადების ადგილი / PLACE OF BIRTH
თბილისი / TBILISI

გაცემის თარიღი / DATE OF ISSUE
06 მარ / MAR 2008

მოქმედების ვადა / EXPIRY DATE
06 მარ / MAR 2018

ISSUING AUTHORITY
იუსტიციის სამინისტრო / MINISTRY OF JUSTICE
სამგორი / SAMGORI

P<GEOKVIKVINIA<<TEONA<<<<<<<<<<<<<<<<<<<<<<<<<<<

07AF585819GEO8312273F1803068580010051 54<<<58

Georgia IDENTITY CARD
პირადობის მოწმობა
საქართველო

GEO



სახელი / FIRST NAME
მალხაზი
MALKHAZI

გვარი / LAST NAME
ჭუმბურიძე
CHUMBURIDZE

მოქ. / CIT: GEO
სქესი / SEX: მმ / M
პირადი No / PERSONAL No: 18001008266

დაბადების თარიღი
DATE OF BIRTH
04.05.1976

მოქმედების ვადა
DATE OF EXPIRY
28.10.2024

ბარათის No / CARD No
13IH59232

ხელმოწერა
SIGNATURE

ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან

განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B16148874, 31/10/2016 10:45:22

სუბიექტი

საფირმო სახელწოდება:	შპს დიღომი +
სამართლებრივი ფორმა:	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
საიდენტიფიკაციო ნომერი:	430034232
რეგისტრაციის ნომერი, თარიღი:	31/10/2016
მარეგისტრირებელი ორგანო:	სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
იურიდიული მისამართი:	საქართველო, ზესტაფონი, ს. სასახლე მე–3 ქ. N 2
დამატებითი ინფორმაცია:	
ელ. ფოსტა:	kvikviniamzeona@gmail.com

დამატებითი ინფორმაციის ნამდვილობაზე პასუხისმგებელია ინფორმაციის მომწოდებელი პირი.

ინფორმაცია ლიკვიდაციის/ რეორგანიზაციის/ გადახდისუუნარობის პროცესის მიმდინარეობის შესახებ

რეგისტრირებული არ არის

ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა

- დირექტორი - 58001005154, თეონა კვიკვინია

პარტნიორები

მესაკუთრე	წილი	წილის მმართველი
18001008266, მალხაზი ჭუმბურიძე	100.000000000%	

ვალდებულება

რეგისტრირებული არ არის

გირავნობა

რეგისტრირებული არ არის

ყადაღა/აკრძალვა

რეგისტრირებული არ არის

საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება

რეგისტრირებული არ არის

მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე გირავნობა/ლიზინგის უფლება

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი

რეგისტრირებული არ არის

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ–გვერდზე www. napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ–გვერდზე www. napr.gov.ge , ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ–გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge